

სააქციო საზოგადოება
ფასიანი ქაღალდების საბროკერო კომპანია

„ინდუსტრია-ინვესტი“



2006 სამეურნეო წლის

ნახევარწლიური

ანგარიში

ეს ანგარიში ხელმისაწვდომია:
კომპანიის სათაო ოფისში –
ქ. ბათუმი, ერას ქ., № 37, ოფისი 19;
საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიაში –
თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქ., № 70
სს „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“ –
თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი, № 74ა.

ქ. ბათუმი

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია

1. ნახევარწლიური ანგარიშის წარდგენის თარიღი (ივსება კომისიაში):
_____;
2. ანგარიშში ასახული დროის მონაკვეთი: **2006 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით;**
3. ბოლო მიმდინარე ანგარიშის წარდგენის თარიღი: **2004 წლის 31 მაისი;**
4. ანგარიშის წარმდგენი საწარმოს დასახელება (საწარმოს წესდების მიხედვით):
სააქციო საზოგადოება ფასიანი ქაღალდების საბროკერო კომპანია „ინდუსტრია-ინვესტი“
5. ანგარიშის რეგისტრაციის ნომერი (ივსება კომისიაში): _____;
6. ანგარიშის წარმდგენი საწარმოს:
 - იურიდიული მისამართი – **ქ. ბათუმი, ერას ქ. № 37, ოფისი 19;**
 - საფოსტო მისამართი – **ს/ყ 54, 6010, ბათუმი;**
 - ტელეფონის ნომერი – **8 (88222) 7-05-96;** ფაქსის ნომერი - **8 (88222) 7-05-96;**

ნახევარწლიური ანგარიშის შინაარსი:

- საკითხი I. შინაარსი ანგარიშგებები
- საკითხი II. საწარმოს მმართველი ორგანოს მიერ საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების მიმოხილვა და ანალიზი
- საკითხი III. საწარმოს მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების საბაზრო რისკი
- საკითხი IV. სასამართლო პროცესი
- საკითხი V. ცვლილებები ფასიან ქაღალდებში
- საკითხი VI. საწარმოს დაგეგმვა
- საკითხი VII. საკითხების გატანა აქციონერთა სამართო კრებაზე
- საკითხი VIII. სხვა ინფორმაცია
- საკითხი IX. დამატებითი დანართები და მიმდინარე ანგარიშგები
- საკითხი X. ხელმოწერები

საკითხი I. ფინანსური ანგარიშგება

სააქციო საზოგადოების ფასიანი ქაღალდების საბროკერო კომპანიის „ინდუსტრია-ინვესტის“ (შემდეგში „საწარმო“) 2006 სამეურნეო წლის პირველი 6-თვიანი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება (იხილეთ ამ ანგარიშის დანართი 1) მომზადებულია საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის წესებით გათვალისწინებული ფინანსური სტანდარტების დაცვით, კერძოდ, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (შემდგომში „ფასს-ები“) და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საერთაშორისო სტანდარტების (შემდეგში „ბასს-ები“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება არ არის აუდიტებული.

ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია საწარმოს ფინანსური მაჩვენებლების შედარება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებთან.

საკითხი II. საწარმოს მდგომარეობის მართვითი მონაცემების მიერ საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების მიმოხილვა და ანალიზი

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა და საქმიანობის შედეგები ძირითადად ასახულია 2006 სამეურნეო წლის პირველი ექვსთვიანი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში (იხილეთ ამ ანგარიშის დანართი № 1).

ქვემოთ მოცემულია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის მიმოხილვა და ანალიზი:

- ა) შეასრულა თუ არა, ან გადაჭარბებით შეასრულა თუ არა საწარმომ დასახული საქმიანობები – საწარმომ დასახული საქმიანობები მთლიანად ვერ შეასრულა;
- ბ) ნებისმიერი მოვლენა, რამაც არსებითი დადებითი ან უარყოფითი გავლენა იქონია შემოსავლებზე – არ გამართლდა ჩვენი პროგნოზები საქართველოს საფონდო ბაზრის ლიკვიდურობის თაობაზე;
- გ) ნებისმიერი ცვლილება მმართველ ორგანოში – სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის შემადგენლობაში ცვლილებები არ მომხდარა;
- დ) თანამშრომლებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილება (მაგ., ხელფასის ხარჯები, სოციალური გადასახადები ან სხვ.) - არ მომხდარა;
- ე) საწარმოების დახურვა, საქონლის წარმოების ან მომსახურების გაწევის შეჩერება - არ მომხდარა;
- ვ) მომსახურების მოცულობისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების ზრდა – საბროკერო მომსახურების მოცულობა საანგარიშგებო პერიოდში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა 76 პროცენტით, ხოლო შემოსავლები საწარმოს საკუთრებაში არსებული აქციების რეალიზაციიდან – შემცირდა 44 პროცენტით და მთლიანად შემოსავლები ძირითადი საქმიანობიდან კი – 59 პროცენტით. ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან გაიზარდა 50 პროცენტით, ხოლო საერთო ზარალი – 4.36 ჯერ.
- ზ) ნებისმიერი საწარმოო ან მნიშვნელოვანი სასამსახურო ინვენტარის, მანქანა-დანადგარების, მოწყობილობათა და სატრანსპორტო საშუალებათა შეძენა – არ მომხდარა;
- თ) არსებითი ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგში - არ მომხდარა;
- ი) არსებითი ცვლილება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებთან დაკავშირებით – მიმდინარე მოკლევადიანი ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა 15,276.69 ლარით; ამასთან, მთლიანი მიმდინარე აქტივები შემცირდა 2,082.12 ლარით, ხოლო გრძელვადიანი აქტივების ღირებულება შემცირდა - 169 ლარით.
- კ) ბანკებში საკრედიტო საზღვრების მიღება, გაუქმება, გაზრდა ან შემცირება – არ მომხდარა;
- ლ) ნებისმიერი ნორმატიული აქტი ან თანამდებობის პირის გადაწყვეტილება, რაც არსებით გავლენას ახდენს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე (მაგ., საწარმოს ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე მიღებული თუ გამოცემული აქტი) - არ მომხდარა;
- მ) სხვა ნებისმიერი მსგავსი ფაქტი ან მოქმედება, რაც ხელს შეუწყობს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ახსნასა და შეფასებას საანგარიშგებო პერიოდში – არ მომხდარა.

საკითხი III. საწარმოს მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების საბაზრო რისკი

საწარმო ახდენს ფასიანი ქაღალდებით ინვესტირებას და მათი ღირებულება 2005 წლის 30 ივნისისათვის შეადგენს საწარმოს აქტივების 9,96 პროცენტს. ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების პორტფელის შესახებ იხილეთ ამ ანგარიშის № 2 დანართში. საწარმოს პორტფელის 10 %-ს ან მეტს შეადგენს შემდეგი სამრეწველო და სხვა სექტორების ფასიანი ქაღალდები: ა) კვების მრეწველობა – 43.71 %; ბ) სამთომომპოვებელი და მძიმე მრეწველობა - 20.46 %.

ლიკვიდურ ფასიან ქაღალდებს განეკუთვნება სააქციო საზოგადოების „პოლიგრაფისტი“ აქციები. დანარჩენი საპორტფელო ფასიანი ქაღალდების ლიკვიდურობისა ან არალიკვიდურობის შესახებ მოსაზრება გამოთქმა შეუძლებელია მათი ორგანიზებულ საფონდო ბაზარზე არ კოტირების გამო.

ფასიანი ქაღალდების შეძენის მიზნით საწარმოს სესხი არ აუღია.

საპირობი IV. სასამართლო პროცესი

საწარმოსთან დაკავშირებით აღძრული ან წარმოებული სასამართლო პროცესის დეტალური ანგარიში:

- საანგარიშო პერიოდში საწარმო აწარმოებს 2 სასამართლო პროცესს
1. მოსარჩელე: **სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტი“**;
მოპასუხე: **სს „მესხეთი“**; მის: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №40.

სარჩელი შეტანილი იყო სს „მესხეთის“ აქციათა გამოსყიდვის თაობაზე. საქმის არსი შემდეგია:

სს „მესხეთის“ აქციონერთა კრების 2004 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილებით, საწესდებო კაპიტალში დამატებითი შენატანის განხორციელების გზით შევიდა ცვლილებები სს „მესხეთის“ საწესდებო კაპიტალსა და წესდებაში. კერძოდ, კრების გადაწყვეტილებით საწარმოს დომინანტმა აქციონერმა, სახელმწიფომ სს „მესხეთის“ საწესდებო კაპიტალში დამატებით შეიტანა მის საკუთრებაში არსებული 9964,5 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. ერთი კვ.მ. მიწის ნაკვეთის ღირებულებამ შეადგინა 35 (ოცდათხუთმეტი) ლარი, ხოლო მთლიანად დამატებით განხორციელებული შენატანის ღირებულებამ შეადგინა 348757,5 ლარი. ზემოთაღნიშნულის გამო, გაიზარდა, როგორც საწარმოს საწესდებო კაპიტალის მთლიანი ოდენობა (3145750 ლარიდან 3589440 ლარამდე), ასევე, რაც მთავარია, დომინანტი აქციონერის (სახელმწიფოს) წილი კაპიტალში. კერძოდ, რამდენადაც, ამჟამად, სააქციო საზოგადოების „მესხეთის“ ერთი აქციის ნომინალური ღირებულება 1 ლარია, ამდენად, ამ გადაწყვეტილებით 348757-ით გაიზარდა სახელმწიფოს კუთვნილი ამ სააქციო საზოგადოების ჩვეულებრივი სახელობითი აქციების რაოდენობა, და, შესაბამისად, 9.71 პროცენტით - მისი წილი ამ საზოგადოების საწესდებო კაპიტალში, ხოლო სხვა აქციონერების წილი, შესაბამისად, შემცირდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით, კერძოდ:

მისი 53¹ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საზოგადოება, რომელიც აპირებს გადაწყვეტილების მიღებას საზოგადოების წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ, ვალდებულია შესაბამისი საერთო კრების მოწვევის შეტყობინებაში დეტალურად აღწეროს გადასაწყვეტი საკითხი, მასთან დაკავშირებული გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება და მისი განხორციელების წესი.

კანონის აღნიშნული მოთხოვნა სს „მესხეთის“ მიერ სრულად იქნა იგნორირებული. ასევე, სააქციო საზოგადოებაში საწესდებო კაპიტალის გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ დამატებითი (ახალი) აქციების გამოშვების, ე.წ. აქციათა ემისიის გზით.

ქაღალდულ პროცედურას დეტალურად აწესრიგებენ, როგორც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი, ასევე „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლები. კერძოდ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 59.1. მუხლის თანახმად გადაწყვეტილებაში საწესდებო კაპიტალის მომატების შესახებ აუცილებლად უნდა აღინიშნოს: ა) საწესდებო კაპიტალის ოდენობა, რომლითაც იზრდება კაპიტალი; ბ) გასაცემი აქციების რაოდენობა და სახე; გ) თითოეული გასაცემი აქციის ნომინალური ღირებულება; დ) აქციების გამოსყიდვის მაქსიმალური ფასი და ე) აქციათა გაცემის ვადები.

სს „მესხეთის“ აქციონერთა კრების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არ შეიცავს კანონით იმპერატიულად დადგენილ არც-ერთ ამ მონაცემს.

კრების გადაწყვეტილებაში, მხოლოდ ზოგადად მითითებულია: „გაიზარდოს საწესდებო კაპიტალი მიწის ნაკვეთით, შეტანილ იქნას სათანადო ცვლილებები წესდებაში, მომზადდეს დოკუმენტაცია და დარეგისტრირდეს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად“.

ასეთი გადაწყვეტილებით, საწარმოს დომინანტ აქციონერს, სახელმწიფოს მიეცა უპირობო უფლება გაეზარდა საკუთარი წილი სს „მესხეთის“ საწესდებო კაპიტალში და ეს განხორციელდა საწარმოს მინორიტარი აქციონერების ხარჯზე. მით უმეტეს, რომ განხორციელებული შენატანის ღირებულება არ შეუფასებია დამოუკიდებელ ექსპერტს, ყოველ შემთხვევაში, ასეთი არ იქნა კრებაზე წარმოდგენილი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 59.7. მუხლის შესაბამისად, საზოგადოების კაპიტალის გაზრდის ყველა შემთხვევაში აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება აქვთ საწარმოს რეგისტრირებულ აქციონერებს. ეს უფლება სს „მესხეთის“ აქციონერებს (მათ შორის სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტს“) არ მიეცათ.

ამრიგად, არსებითად შეილახა საზოგადოების წვრილი აქციონერის, სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტის“ უფლებები (შემცირდა მისი წილი საზოგადოების კაპიტალში). ამის გამო, საზოგადოების წარმომადგენელმა აქციონერთა კრებაზე მხარი არ დაუჭირა გადაწყვეტილებას ამდენად, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53¹ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მოსარჩელემ მოიპოვა მოპასუხისაგან აქციების გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება.

სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტმა“ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53¹ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ ვადაში, 2004 წლის 05 ოქტომბერს, № 01/03-50 წერილით სს „მესხეთის“ მოსთხოვა სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტის“ საკუთრებაში არსებული სს „მესხეთის“ 3.737 ჩვეულებრივი სახელობითი აქციის გამოსყიდვა. სამწუხაროდ, მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში სს „მესხეთმა“ სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტს“ პასუხი არ გასცა. შესაბამისად, აშკარა შეიქნა, რომ მოპასუხემ უარი განაცხადა აქციების გამოსყიდვაზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53¹ მუხლის საფუძველზე სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტმა“ სარჩელი შეიტანა სასამართლოში, რათა სს „მესხეთის“ მოეხდინა სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტის“ საკუთრებაში არსებული სს „მესხეთის“ 3.737 ჩვეულებრივი სახელობითი აქციის გამოსყიდვა აქციების ნომინალური ღირებულებით, ანუ თითოეული აქციისა - 1 ლარად (სულ 3.737 ლარი). ბათუმის საქალაქო სასამართლომ თავისი 2005 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებით სრულად დააკმაყოფილა სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტის“ სარჩელი. მოპასუხის (აპელანტის) სააპელაციო სარჩელი განუზილველი დატოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლემ, ვინაიდან აპელანტმა დანიშნულ ვადაში ვერ უზრუნველყო სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შევსება.

თავისი 2006 წლის 27 ივნისის № 01/01-25 წერილით, სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტმა“ მოსთხოვა სს „მესხეთის“ მის საკუთრებაში არსებული სააქციო საზოგადოების „მესხეთის“ 3,737 ჩვეულებრივი სახელობითი აქციის გამოსყიდვა (აქციების ნომინალური ღირებულებით, ანუ თითოეული აქციისა 1 ლარად - სულ 3.737 ლარი) სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტის“ სასარგებლოდ, აგრეთვე საწარმოს მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაფარვა. სს „მესხეთის“ მიერ 19 დღის ვადა. მოთხოვნის არ დაკმაყოფილების შემთხვევაში მოხდება მათი ქონების დაყადაღება და საჯარო გაყიდვა.

2. მოსარჩელე: **სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტი“;**
მოპასუხე: **შპს „მემბრანა“;** მის: თბილისი, ჯიქიას ქ. № 4.

სარჩელი შეტანილია უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე. საქმია არსი შემდეგშია:

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას „სპექტრის“ სპეციალურ საკონსტრუქტორ-ტექნოლოგიურ ბიუროსა (სსგ „სპექტრი“ სსტბ) და სამეცნიერო-საწარმოო მცირე წარმოებას „მემბრანას“ შორის 1992 წლის 11 თებერვალს დაიდო იჯარის ხელშეკრულება, თბილისში, ჯიქიას ქუჩა №4-ში, 7 სართულიან შენობაში, მე-6 სართულზე მდებარე 312 კვ.მ. ფართობის იჯარაზე.

საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტროს 1994 წლის 31 აგვისტოს № 146 ბრძანებით მოხდა სახელმწიფო საწარმოს სსტბ „სპექტრის“ ლიკვიდაცია და მისი შერწყმა სახელმწიფო ქარხანასთან „საქპოლიმერკონტეინერთან“ და ამ ბრძანებით ქარხანა გახდა სსგ „სპექტრის“ სამართალმემკვიდრე. იმავე პერიოდში სამეცნიერო-საწარმოო მცირე წარმოება „მემბრანა“ გარდაიქმნა შპს „მემბრანად“.

მიუხედავად ამისა და რამდენადაც მოპასუხე, მოსარჩელეს ფართზე საკუთრების უფლების წარმოშობამდეც, განაგრძობდა ფართის იჯარას, უნდა ვიგულისხმოთ, რომ სახელმწიფო საწარმო „საქპოლიმერკონტეინერი“, ზემოთ მითითებული ბრძანების გამოცემის შემდეგ, გახდა სამეცნიერო-საწარმოო მცირე წარმოების „მემბრანას“ ახალი მფლობელი. მაგრამ, მოსარჩელის 2003 წლის 10 ოქტომბრის № 02/10-56 წერილობით მოთხოვნაზე შპს „მემბრანამ“ წარმოადგინა არა სახელმწიფო საწარმოსთან „საქპოლიმერკონტეინერთან“, არამედ მხოლოდ მის წინა, პირველ მფლობელსთან (სსგ „სპექტრი“ სსტბ) დადებული იჯარის ხელშეკრულების ასლი; მიუხედავად მოსარჩელეს არაერთი სიტყვიერი მოთხოვნისა, მოპასუხემ არ გადასცა მას ამ ხელშეკრულების ორიგინალი ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი.

1994 წლის დეკემბერში „თბილპოლიმერკონტინერი“ გარდაიქმნა სს „პლასტიკად“ და, დადგენილი წესით, მოხდა მისი პრივატიზება.

შემდგომ, სს „პლასტიკის“ გამოყოფა მისი აქციების მსხვილი პაკეტის მფლობელი სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტი“ და მას, სს „პლასტიკის“ აქციების სანაცვლოდ, საკუთრებაში გადაეცა ზემოთაღნიშნული შენობის ორი, მე-6 და მე-7 სართულები.

შპს „მემბრანა“ განთავსებულია მე-6 სართულზე. ამდენად, რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით, სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტი“ გახდა მეიჯარე, ხოლო შპს „მემბრანა“ კი – მოიჯარე.

1992 წლის 11 თებერვალს, სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „სპექტრსა“ და შპს „მემბრანას“ შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, საიჯარო ქირა შეადგენდა წელიწადში 1560 მანეთს, რაც დღევანდელი მდგომარეობით არ აღემატება წელიწადში 100 ლარს.

ცხადია, გარემოებები, რომლებიც 1992 წელს ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა. კერძოდ, საიჯარო ქირის ეს ოდენობა ყოველად შეუსაბამოა ბოლო 5 წლის მანძილზე თბილისში უძრავი ქონების ქირაგნობის ბაზარზე არსებულ კონიუნქტურასთან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასი არარეალურად მცირეა საბაზრო ფასთან შედარებით).

ამის გათვალისწინებით, სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტმა“ 2003 წლის ნოემბერში, გამოიყენა რა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით მინიჭებული უფლება, მოითხოვა ხელშეკრულების პირობების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი და შესთავაზა მოიჯარეს, შპს „მემბრანას“ საიჯარო ქირის გადახედვა. მაგრამ მოიჯარე არ დაეთანხმა ამ წინადადებას.

მეიჯარემ იმ დროს გამოიჩინა კეთილი ნება, გაითვალისწინა რიგი ფაქტორი (მოიჯარის მუშაობის სპეციფიკა, სანგრძლივი საქმიანობა იჯარაში გადაცემულ ფართზე), და, მიუხედავად იმისა, რომ განიცდიდა ზარალს, მიიღო მოიჯარის შემხვედრი წინადადებები იჯარის ქირის 1992 წლის დონეზე დატოვების შესახებ. ამდენად, მეიჯარემ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული მუხლით მინიჭებული უფლება და ცალმხრივად უარი არ თქვა წინა მეიჯარის მიერ მოიჯარესთან დადებულ ხელშეკრულებაზე, შეიტანა რა მასში, 2004 წლის 5 იანვარს, მხოლოდ რედაქციული ცვლილებები და დამატებები.

2005 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ახალი საქართველოს საგადასახადო კოდექსი, რომლის თანახმად, გადასახადებით დაბეგვრის მიზნებისათვის მომსახურების საბაზრო ფასის გამოყენება აუცილებელია, თუ „საგადასახადო ორგანო ასაბუთებს, რომ გარიგების მონაწილეებს შორის გაცხადებული ფასი განსხვავდება ფაქტობრივი ფასისაგან“ (კოდექსის 22-ე მუხლის მე-10 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი). ამდენად, მოსარჩელე დგას რეალური საშიშროების წინაშე, რომ გამოითქვას წერილობითი ეჭვი მისი დირექტორატის კეთილსინდისიერების, კერძოდ შპს „მემბრანას“ დირექტორთან ფარული შეთანხმების თაობაზე, რამდენადაც საგადასახადო ორგანოს სრული „უფლება აქვს გამოიტანოს მოტივირებული წერილობითი გადაწყვეტილება გადასახადებით დაბეგვრის მიზნებისათვის საბაზრო ფასის გამოყენების შესახებ“ (კოდექსის 22-ე მუხლის მე-10 ნაწილის პირველი წინადადება), დაგვაკისროს შესაბამის საგადასახადო ჯარიმები და ა.შ.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტმა“, თავისი 2005 წლის 25 ოქტომბრის № 01/03-40 წერილით, კვლავ სცადა იჯარის ხელშეკრულების მისადაგება (ცალკეული მუხლების შეცვლა) არსებულ გარემოებებთან, კერძოდ, საიჯარო ქირის გაზრდა, მაგრამ ყოველად უშედეგოდ, რადგანაც მოიჯარემ, შპს „მემბრანამ“, თავისი 2005 წლის 14 ნოემბრის № 23 საპასუხო წერილით, ასეთ ცვლილებებზე უარი განაცხადა.

სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტის“ დირექტორატმა:

- ა) იხელმძღვანელა საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნით და,
- ბ) რადგანაც ის დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, შპს „მემბრანასთან“ იგივე ხელშეკრულებას, იგივე პირობებით არ დადებდა, და
- გ) ორჯერ უშედეგოდ სცადა ამ ხელშეკრულების შეცვლილ პირობებთან მისადაგება,

2005 წლის 1 დეკემბერს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის საფუძველზე, ცალმხრივად შეწყვიტა აღნიშნული იჯარის ხელშეკრულება შპს „მემბრანასთან“, რის თაობაზეც წერილობით აცნობა მოპასუხეს და საიჯარო ფართის დასაცვლელად დაუდგინა 3 თვიანი ვადა.

შპს „მემბრანამ“ 2006 წლის 20 თებერვლის № 10 წერილით უარი განაცხადა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „სპექტრის“ სპეციალურ საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურ ბიუროსა (სსგ „სპექტრი“ სსტბ) და სამეცნიერო-საწარმოო მცირე წარმოებას „მემბრანას“ შორის 1992 წლის 11 თებერვალს დადებულ იჯარის ხელშეკრულების (2004 წლის 4 იანვრის № 1 ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით) ვადამდე მოშლაზე და შესაბამისად საიჯარო ფართის დაცლაზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე:

- ა) სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტმა“, როგორც სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების „სპექტრის“ სპეციალურ საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურ ბიუროს მართვაში ადრე არსებული, ქ. თბილისში, ჯიქიას ქ. №4-ში მდებარე შენობის ნაწილის მესაკუთრემ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის საფუძველზე ცალმხრივად შეწყვიტა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „სპექტრის“ სპეციალურ საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურ ბიუროსა (სსგ „სპექტრი“ სსტბ) და სამეცნიერო-საწარმოო მცირე წარმოებას „მემბრანას“ შორის 1992 წლის 11 თებერვალს დადებული იჯარის ხელშეკრულება (2004 წლის 4 იანვრის № 1 ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით);
- ბ) შესაბამისად შპს „მემბრანას“ აღარ გააჩნია საიჯარო ფართით სარგებლობის (მისი დაკავების) არაერთი სამართლებრივი საფუძველი და ვალდებულია დაცალოს და დაუბრუნოს იგი მესაკუთრეს (სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტს“);
- გ) ამის მიუხედავად, შპს „მემბრანამ“, 2006 წლის 20 თებერვლის № 10 წერილით უარი განაცხადა საიჯარო ფართის დაცლაზე;
- დ) ამრიგად, შპს „მემბრანამ“ უკანონოდ ფლობს თბილისში, ჯიქიას ქ. №4-ში მე-6 სართულზე მდებარე ფართს;
- ე) აქედან გამომდინარე, სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტი“ ვერ განკარგავს საკუთარ ნივთს (რაც გამოწვეულია შპს „მემბრანას“ მიერ ამ ნივთის უკანონო მფლობელობით) და ვერ იღებს იმ შემოსავალს, რომელსაც მიიღებდა ნივთის განკარგვის შემთხვევაში (ნივთის, მესამე პირისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემის შედეგად მიღებული შემოსავალი). თბილისში, ჯიქიას ქ. №4-ში, მე-6 სართულზე მოპასუხის უკანონო მფლობელობაშია 126.2 კვადრატული მეტრის ფართი. თბილისის ამ რაიონში ამგვარი ფართის ერთი კვადრატული მეტრის მინიმალური საიჯარო ქირა თვეში არანაკლებ 2 (ორი) ლარია, ხოლო მოპასუხის მიერ დაკავებული მთლიანი ფართის – 252 ლარი და 40 თეთრი. ამრიგად, საიჯარო ქირა წელიწადში 3,028 ლარი და 80 თეთრი მაინც უნდა იყოს და არა 30–ჯერ ნაკლები, ანუ 100 ლარი;
- ვ) სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტი“ იძულებული გახდა მიემართა სასამართლოსათვის შპს „მემბრანას“ უკანონოდ დაკავებული ფართიდან გამოსახლების თაობაზე.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტმა“ სასამართლოს სთხოვა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის საფუძველზე, გამოითხოვოს თბილისში, ჯიქიას ქ. №4-ში, მე-6 სართულზე მდებარე ფართი მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან, ანუ მიიღოს გადაწყვეტილება ფართიდან მოპასუხის გამოსახლების თაობაზე;
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მოსარჩელეს სასარგებლოდ მოპასუხეს დააკისროს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც სს „ინდუსტრია-ინვესტს“ ადგება და მიადგება მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, რა პერიოდშიც შპს „მემბრანა“ გააგრძელებს სს „ინდუსტრია-ინვესტის“ კანონიერ საკუთრებაში არსებული ნივთის უკანონო ფლობას, ანუ 2006 წლის 7 მარტიდან ნივთის უკან დაბრუნების მომენტამდე.
3. მოსარჩელეს სასარგებლოდ მოპასუხეს დააკისროს სასამართლოში საქმის განხილვასთან დაკავშირებული გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება;
4. მოსარჩელეს სასარგებლოდ მოპასუხეს დააკისროს სასამართლოში საქმის განხილვასთან დაკავშირებული მოსარჩელეს მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურების ხარჯები 800

ლარის ოდენობით, აგრეთვე სამიწვინებო ხარჯები 50 ლარის ოდენობით ყოველი სასამართლო განხილვის ახალი თარიღისათვის.

ჩატარდა სასამართლოს პირველი სხდომა. მოპასუხემ ითხოვა ვადა შესაგებებლის წარსადგენად, რაც თბილისის სასამართლოს მოსამართლემ დააკმაყოფილა.

- საწარმოს აქციონერს არ შეუტანია სარჩელი საწარმოს სახელით მესამე პირის წინააღმდეგ საქართველოს კანონის “შეწარმეთა შესახებ” 53-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

საკითხი V. ცვლილებები ფასიან ქალაქებში

1. ცვლილებას სხვადასხვა კლასის აქციათა მფლობელების მიმართ ადგილი არ ჰქონია.
2. აქციათა ემისიას ან ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია.
3. საანგარიშგებო პერიოდში აქციები არ არის გამოშვებული არასაჯარო ან კერძო შეთავაზებისათვის.

საკითხი VI. საწარმოს დავალიანება

1. საწარმოს დავალიანება შეადგენს თავისი აქტივების (არაძირითად საწარმოთა აქტივების ჩათვლით) 14,8 პროცენტს და იგი ამ დავალიანების ძირითადი თანხის, დარიცხული პროცენტის ან ორივეს ერთად გადახდის ვალდებულებას ასრულებს გადახდისათვის დადგენილ ვადაში.
2. საწარმოს არ აქვს დავალიანებები პრივილეგირებული საჯარო ან სხვა კლასის ფასიან ქალაქებზე დივიდენდების გაცემის პრიორიტეტულობასთან დაკავშირებით, რამდენადაც ასეთი კლასის ფასიანი ქალაქები არ აქვს გამოშვებული.

საკითხი VII. საკითხების ბატანა აქციონერთა სამართო კრებაზე

1. საანგარიშგებო პერიოდში ჩატარდა აქციონერთა ერთი რიგითი საერთო კრება.
 - ა) კრების ჩატარების თარიღი – 2005 წლის 20 მაისი; ბ) კენჭისყრა ჩატარდა რიგით კრებაზე; გ) კენჭისყრაზე გატანილი საკითხების ანოტაცია და გამოტანილ საკითხებზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგები:
 1. სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტის“ 2005 სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშის წარმოდგენა დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშებთან ერთად (მომხსენებლები - გენერალური დირექტორი პლატონ კალოიანი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ტუნაძე);
 2. დირექტორების ანგარიშის დამტკიცება;
 3. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;
 4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევის შესახებ (მომხსენებელი თამაზ ტუნაძე);
 5. 2006 წლისათვის სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტის“ აუდიტორის არჩევის შესახებ (მომხსენებელი თამაზ ტუნაძე).

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს სააქციო საზოგადოების ფასიანი ქალაქების საბროკერო კომპანიის „ინდუსტრია-ინვესტის“ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის ანგარიშები საზოგადოების საქმიანობის 2004 წლის შედეგების შესახებ.
2. დამტკიცდეს სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტის“ 2004 სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიში, დამოწმებული დამოუკიდებელი აუდიტორი ფირმის „ალექსანდრეს“ მიერ.
3. სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტის“ სამეთვალყურეო საბჭომ და დირექტორატმა უზრუნველყონ 2005 წელს საზოგადოების შემოსავლების მიმართ წმინდა მოგების ნორმის 8 პროცენტის და მეტი დონის მიღწევა.
4. აღინიშნოს, რომ სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტის“ 2004 წლის წმინდა მოგება, რომელიც ექვემდებარება განაწილებას საზოგადოების საერთო კრების მიერ, შეადგენს 1,944 ლარს.
5. მიღებულ იქნეს სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტის“ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის ერთიანი წინადადება და საზოგადოების საქმიანობის 2004 წლის შედეგებით მიღებული 1,944 ლარის წმინდა მოგება ჩაირიცხოს საზოგადოების სარეზერვო ფონდში.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს სააქციო საზოგადოების ფასიანი ქალაქების საბროკერო კომპანიის „ინდუსტრია-ინვესტის“ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის ანგარიშები საზოგადოების საქმიანობის 2005 წლის შედეგების შესახებ.
2. დამტკიცდეს სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტის“ 2005 სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიში, დამოწმებული დამოუკიდებელი აუდიტორი ფირმის „ალექსანდრეს“ მიერ.

3. სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტის“ სამეთვალყურეო საბჭომ და ღირეპქორატმა უზრუნველყონ 2006 წელს საზოგადოების შემოსავლების მიმართ წმინდა მოგების ნორმის 8 პროცენტის და მეტი ღონის მიღწევა.
(კენჭისყრის შედეგად გადაწვეტილება მიიღო კრებაში მონაწილე ხმების 100.00 % დადგენილება მიღებულია).

4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევის შესახებ (მომხსენებელი თამაზ ტუნაძე);
გადაწვეტიტეს: სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად ხელახლა არჩეული იქნენ ბატონები ნოდარ მაღაყმაძე, ედნარ ხვიჩია და თამაზ ტუნაძე.
(კენჭისყრის შედეგად გადაწვეტილება მიიღო კრებაში მონაწილე ხმების 100.00 % დადგენილება მიღებულია).

4. 2006 წლისათვის სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტის“ აუდიტური ფირმის არჩევის შესახებ (მომხსენებელი თამაზ ტუნაძე)
გადაწვეტიტეს: 2006 სამეურნეო წლისათვის სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტის“ აუდიტორად არჩეულ იქნეს აუდიტური ფირმა „ალექსანდრე“.
(კენჭისყრის შედეგად გადაწვეტილება მიიღო კრებაში მონაწილე ხმების 100 % დადგენილება მიღებულია).

საკითხი VIII. სხვა ინფორმაცია

საწარმოს ნახევარწლიურ ანგარიშში არ შეუტანია სხვა ისეთი საკითხები, რაც საქართველოს ფასისნი ქალაღლების ეროვნული კომისიის წესებით გათვალისწინებული არ არის, რადგან მათი აღნიშვნა მიმდინარე ანგარიშებში საჭიროდ არ ჩათვალა.

საკითხი IX. დამაღასტურაპელი დანართები და მიმდინარე ანგარიშები

ნახევარწლიურ ანგარიშს თან ერთვის:

1. 2005 წლის პირველი 6-თვიანი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება (იხილეთ დანართი № 1).
2. ინფორმაცია ფასისანი ქალაღლების პორტფელის შესახებ (იხილეთ დანართი № 2) .
3. ფინანსური ანგარიშგების პროფორმა (იხილეთ დანართი № 3).

საწარმოს მიმდინარე ანგარიში საანგარიშგებო პერიოდში არ წარუღგენია.

საკითხი X. ხელმოწერები

ნახევარწლიურ ანგარიშზე ხელისძომწერი პირი, საქართველოს კანონის „ფასისანი ქალაღლების ბაზრის შესახებ“ მე-11 მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით, პასუხისმგებელია მასში არსებითი ინფორმაციის გამოტოვებისა თუ არასწორად გადმოცემისათვის. აღმინისტრაციულ სამართალღარღვევათა კოღექსის 165 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, მმართველი ორგანოს წევრებს დაეკისრებათ ჯარიმა ყალბ ან შეცდომაში შემყვან ანგარიშზე ხელმოწერისათვის.

**სააქციო საზოგადოების
ფასისანი ქალაღლების საბროკერო კომპანიის**

**„ინდუსტრია-ინვესტის“
გენერალური დირექტორი**

კლათონ კალოიანი

ფინანსური დირექტორი

თეიმურაზ ბეღინაძე

**სამეთვალყურეო საბჭოს
თავმჯღომარე**

თამაზ ტუნაძე

თავმჯღომარის მოაღბილე

ნოდარ მაღაყმაძე

წვერი

ედნარ ხვიჩია

სს ფქსპ „ინდუსტრია-ინვესტი“
2006 სამეურნეო წლის
ნახევარწლიური ანგარიშის

დანართი № 1

სააქციო საზოგადოება
ფასიანი ქაღალდების საბროკერო კომპანია
„ინდუსტრია-ინვესტი“

2006 სამეურნეო წლის კირველი
ექვსთვიანი პერიოდის

ფინანსური ანგარიშგება

த ட வ ள ன ன ன

საწარმოს სრული დასახელება	სააქციო საზოგადოება ფასიანი ქაღალდების საბროკერო კომპანია „ინდუსტრია-ინვესტი“
საწარმოს მოკლე დასახელება	სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტი“
საიდენტიფიკაციო კოდი	245423992
ადგილმდებარეობა	ქ. ბათუმი, ერას ქ., № 37, ოფისი 19
საფოსტო მისამართი	6000, ბათუმი, ს/ყ 54
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი	№ 01\05-02
რეგისტრაციის თარიღი	1995 წლის 11 ივლისი
საკონტაქტო ტელეფონები	(995 222) 70596; (99) 533972;
საკონტაქტო პირი	ფინანსური დირექტორი თეიმურაზ ბედინაძე
ფაქსი	(995 222) 70596
ელ. ფოსტა	Indinvestipaata @yahoo.com
ვებგვერდი	-
გენერალური დირექტორი	პლატონ კალოიანი
ფინანსური დირექტორი	თეიმურაზ ბედინაძე
დირექტორი ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის დარგში	არჩილ მგელაძე
საქმიანობის სფერო	ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საქმიანობა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ გაცემული გენერალური ლიცენზიის საფუძველზე
აუდიტორული ფირმის (აუდიტორის) დასახელება	საკონსულტაციო ჯგუფი „ალექსანდრე“

პლატონ კალოიანი

სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტის“
გენერალური დირექტორი

წლიური ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურა

სააქციო საზოგადოების ფასიანი ქაღალდების საბროკერო კომპანიის „ინდუსტრია-ინვესტი“ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების მიერ წარმოდგენილი 2006 სამეურნეო წლის პირველი ექვსთვიანი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ეხება მხოლოდ ამ საწარმოს და წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- 1.1. ბალანსი 2006 წლის 30 ივნისის მდგომარეობით;
- 1.2. მოგება-ზარალის 2006 წლის პირველი ექვსთვიანი პერიოდის ანგარიშგება (ხარჯების კლასიფიკაცია ფუნქციების ნიხედვით);
- 1.3. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2006 წლის 30 ივნისისათვის;
- 1.4. საკუთარ კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2006 წლის 30 ივნისისათვის;
- 1.5. სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები;

საანგარიშგები ვალუტა – ლარი. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია რიცხვები ლარი სიზუსტით.

პლატონ კალოიანი

სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტი“
გენერალური დირექტორი

სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტი“ სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

სააქციო საზოგადოების ფასიანი ქაღალდების საბროკერო კომპანიის „ინდუსტრია-ინვესტი“ ღირებულების მიერ წარმოდგენილი 2006 სამეურნეო წლის პირველი ექვსთვიანი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში - „ანგარიშგება“) შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებსა (შემდგომში - “ფასს-ები”) და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს (შემდგომში - “ბასს-ები“) მათი ინტერპრეტაციების ჩათვლით ან ყველა არსებით ასპექტში. ანგარიშგებაში აღწერილია საანგარიშგებო პერიოდში – 2006 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით – საზოგადოებაში მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენის ფინანსური შედეგები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით. ქვემოთ, შენიშვნებში მოცემულია განმარტებები ბალანსში, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებასა და საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებაში ასახულ თანხებთან დაკავშირებით, აგრეთვე საბროკერო კომპანიებისათვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნათა თაობაზე დამატებითი ინფორმაცია. აქ თავმოყრილია ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება ფასს-ებითა და ბასს-ებით, აგრეთვე ის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საწარმოს შესახებ ინფორმაციის სამართლიანი წარდგენისთვის საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის წესების მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულია იგივე სააღრიცხვო პოლიტიკა და გაანგარიშების მეთოდები, რომლებიც გამოყენებულ იქნა სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტი“ მიერ ბოლო, 2005 წლის წლიური ფინანსური ანგარიშგების დროს. აღრიცხვა-ანგარიშგება წარმოებს ბასს-ების შესაბამისად. ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენება კაპიტალის ფინანსური კონცეფცია, ანუ კაპიტალი გაიგივებულია საკუთარ კაპიტალთან. შესაბამისად გამოიყენება კაპიტალის ფინანსური შენარჩუნების კონცეფცია. სხვაობა სააღრიცხვო მოგების გადასახადის შორის აღრიცხება გადავადებული საგადასახადო გამოანგარიშებულ, ბიუჯეტში გადასახადებულ მოგების გადასახადს შორის აღრიცხება გადავადებული საგადასახადო აქტივის ან გადავადებული მოგების გადასახადის სახით. მოგება-ზარალის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ხოლო ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება – პირდაპირი მეთოდით. საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. შემოსავლებისა და ხარჯების (სამეურნეო ოპერაციების) აღიარება-ასახვა, ბასს-ების შესაბამისად, ხდება ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდით, ანუ მათი მოხდენისთანავე (და არა ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს). ამასთან, ხარჯების აღიარებისას დაცულია მიმდინარე პერიოდის ამონაგებასა და დანახარჯებს შორის შესაბამისობის პრინციპი, ანუ მათი გატარება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და ასახვა ანგარიშგებაში ხდება შესაბამისი პერიოდებისათვის მიკუთვნებით. საგადასახადო მიზნებისათვის გამოიყენება დარიცხვის მეთოდი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 203-ე მუხლის შესაბამისად. საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოიყენება პირვანდელი ღირებულების შეფასების მეთოდი. აქტივის აღრიცხვა ხდება მისი შექმნის დროს გადახდილი ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების ოდენობით, ან იმ რეალური ღირებულებით, რომელიც უნდა გადახდილიყო მისი შექმნის მომენტში. ვალდებულება აღრიცხება იმ აქტივის თანხის სიდიდით, რომელიც მიღებულია მოცემული ვალდებულების სანაცვლოდ. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები აღრიცხება უწყვეტი მეთოდით. მათი ჩამოწერა ხდება ინდივიდუალურ დანახარჯთა მეთოდით. მატერიალური ფასეულობების შექმნა, რომელთა ღირებულება ერთეულზე არ აღემატება 150 ლარს ან რომელთაც აქვთ სასარგებლო სამსახურის მცირე ვადა (1 წელი ან უფრო ნაკლები) და რომლებიც არ შეიტანება სასაქონლო-მატერიალური მარაგის შემადგენლობაში, განიხილება მიმდინარე პერიოდის ხარჯებად. ძირითადი საშუალებების ცვეთა და არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდით ანუ ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხის განსაზღვრა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. კონკრეტულ ძირითად საშუალებაზე (ან ძირითადი საშუალებების ჯგუფზე) სალიკვიდაციო ღირებულებასა და წლიური ცვეთის ნორმას ადგენს ამ მიზნით შექმნილი მუდმივმოქმედი კომისია. თუ სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ის აიღება: შენობა-ნაგებობების შემთხვევაში – 25 წლის ვადის, ხოლო სხვა ცვეთადი ძირითადი საშუალებების შემთხვევაში - 10 წლის ვადის ტოლად. საეკვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. საწარმოში მომუშავეთა ხელფასების დარიცხვა ხორციელდება ყოველთვიურად, გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად. თუ შრომითი ხელშეკრულება არ არის გაფორმებული, ან მასში არ არის ცალსახად განსაზღვრული შრომითი ანაზრაურების სიდიდე, მაშინ ანაზრაურების დარიცხვის საფუძველს წარმოადგენს საწარმოს გენერალური დირექტორის ხელმოწერით დამტკიცებული ხელფასის უწყისი. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები ითვლება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც ისინი იქნენ გაწეულნი, იმის და მიუხედავად, თუ რა მიზნით გამოიყენება აღებული სესხი. არაძირითად საწარმოებში დაბანდებული ინვესტიციების ბუღალტრული აღრიცხვისათვის

გამოყენება დანახარჯ-მეთოდი. ფინანსურ ანგარიშგებაში გათვალისწინებულია გამოყენებული ბასს-ების შესაბამისი ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი.

დირექტორატი თვლის, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, ფინანსური საქმიანობის შედეგებს, საკუთარი კაპიტალში ცვლილებებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას.

პლატონ კალოიანი
სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტი“
გენერალური დირექტორი

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1	2	3	4	5	6	7	
